ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNFPA

სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭებასა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკაზე საქართველოში

სექტემბერი 2019

საქართველო

მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე კვლევა მიმოიხილავს ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობა საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის (SRB) გაუმჯობესება ბოლო 15 წლის განმავლობაში. იგი მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ანალიზს. ფოკუს ჯგუფების, სიღრმისეული ინტერვიუებისა და ეკონომეტრიკული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორები, რომელთაც განაპირობეს დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული თანაფარდობის გაუმჯობესება: ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის შემცირება, მომსახურების სექტორის წილის ზრდა (ქალებისათვის ახალი სამუშაო შესაძლებლობების შექმნა საბანკო, საცალო ვაჭრობისა და სხვა საოფისე საქმიანობების სფეროებში), ქალების დასაქმების ზრდა (სოფლის მეურნეობის სექტორის მიღმა), კაცების განათლების დონის ზრდა, სოციალურ-კულტურული და გენდერული ღირებულებების ტრანსფორმაცია. ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ საქართველოში სოციალური პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელებამ, მნიშვნელოვნად შეამცირა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა (GBSS).

შესავალი

საქართველოში, საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი (SRB) მნიშვნელოვნად გადაიხარა ბიჭების სასარგებლოდ. საქართველო მიეკუთვნება მსოფლიოს იმ თორმეტ ქვეყნას, სადაც შეინიშნება SRB-ს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გადახრა ბუნებრივი დონიდან (ზოგადად მიღებულია რომ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ბიოლოგიური ნორმა 105 ვაჟია 100 გოგონაზე). ამ ქვეყნებს შორისაა: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, ჰონ კონგი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ინდოეთი, კორეის რესპუბლიკა, მონტენეგრო, ტაივანი (ჩინეთის პროვინცია), ტუნისი და ვიეტნამი.

1992 წლიდან მოყოლებული, გაუარესებული ეკონომიკური პირობების, ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭების, შემცირებული შობადობისა და ნაყოფის სქესის განსაზღვრის ტექნოლოგიებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის ერთობლიობამ, საქართველოში განაპირობა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა (შერჩევითი აბორტის გზით), რომელიც დაახლო-



გრაფიკი 1. საშუალო SRB, 1990-2018. წყარო: UNFPA (2017)

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

ებით 15 წელი გაგრძელდა. 2004 წლიდან აღინიშნება საპირისპირო ტენდენცია, როდესაც SRB-მ დაიწყო გაუმჯობესება და 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მიუახლოვდა ნორმალურ დონეს (იხ. გრაფიკი 1). არსებული კვლევის მიზანია შეისწავლოს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც ამ ცვლილებებს განაპირობებს.

საქართველო ხასიათდება რეგიონული მრავალფეროვნებით კულტურული ღირებულებების, რელიგიისა და ეთნიკურობის თვალსაზრისით. გასაკვირი არაა, რომ ეს განსხვავებები რეგიონებში ვლინდება დაბადებისას სქესთა შორისი თანაფარდობის განსხვავებულ დონეებში. დედაქალაქში, საქართველოს ყველაზე დიდ ქალაქში - თბილისში, დაბადებისას სქესთა რაოდნობრივი თანაფარდობა, რომელმაც ბიოლოგიურ ნორმას უკვე 2010 წელს მიაღწია, ამჟამად ყველაზე დაბალია. სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, აჭარასა და შიდა ქართლში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია (ძალიან ახლოსაა ბიოლოგიურ ნორმასთან). ხოლო, სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში, კერძოდ, კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მაღალია. ამ სამ რეგიონს აზერბაიჯანთან ან/და სომხეთთან საერთო საზღვარი აქვთ და ამასთანავე, ამ რეგიონებში დასახლებული მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კლების ტენდენცია ამ რეგიონებში უფრო ნაკლებად შეინიშნება.

მეთოდოლოგია

არსებული კვლევის მიზანია, შეისწავლოს ცვლილებების განმაპირობებელი სხვადასხვა ფაქტორები და გამოიკვლიოს, თუ რა ზეგავლენა ჰქონდა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასა და ინტერვენციებს ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკასა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევაზე. რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის საფუძველზე მოცემული კვლევა შეისწავლის კავშირს მაკროეკონომიკურ პირობებს/სოციალური დაცვის სქემებსა და დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ცვლილებებს შორის.

- თვისობრივი ანალიზი მოიცავს ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებს (FGD) სკოლის/სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებთან და სიღრმისეულ ინტერვიუებს (IDI) სამედიცინო პერსონალსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები და სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ოთხ რეგიონში: კახეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთში შეინიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება 2005 წლიდან მოყოლებული (იხილეთ გრაფიკი 2).
- რაოდენობრივი ანალიზი ემყარება კვარტალურ პანელურ მონაცემებს საქართველოს ცხრა რეგიონისათვის 2005-2018 წლებში. ემპირიული ანალიზის პირველ ეტაპზე შეფასდა ფიქსირებული და შემთხვევითი ეფექტის მოდელები სხვადასხვა სპეციფიკაციებისა და ამხსნელი ცვლადების სხვადასხვა კომბინაციით. ემპირიული ანალიზის მეორე ეტაპზე გამოვიყენეთ სივრცითი ავტორეგრესიული (SAR) და დურბინის სივრცითი მოდელი (SDM) შემთხვევითი ეფექტისა და კლასტერული სენდვიჩის შემფასებლის მეშვეობით (რეგიონის გამოყენება მოხდა, როგორც კლასტერული ცვლადის).

კვლევის შედეგები და დასკვნები

ფოკუს ჯგუფებმა და სიღრმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მიუხედავად SRB-ის კლებადი ტენდენციისა, ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკა კვლავ რჩება საქართველოს საზოგადოებაში. სქესის შერჩევის შესახებ ინფორმირებულობის დონე მაღალია ოთხივე გამოკითხულ რეგიონში. ყველა მონაწილე თანხმდება, რომ სქესის შერჩევის პრაქტიკა ადრე



გრაფიკი 2. SRB რეგიონულ ჭრილში. წყარო: საქსტატი.

უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ახლა კი შემცირებულია. თუმცა ამ ფენომენის როგორც საზიანო პრაქტიკის აღქმა, რეგიონების მიხედვით განსხვავდება. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში რესპოდენტები გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას საზიანო პრაქტიკად არ აღიქვამენ და ხაზს უსვამენ გვარის გაგრძელებისათვის ვაჟის გაჩენის მნიშვნელობას. მათგან განსხვავებით, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოვლინდა უარყოფითი დამოკიდებულება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის მიმართ.

ეკონომიკურმა პირობებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ნორმალიზებაში, რადგან ქვეყანაში გაიზარდა განკარგვადი შემოსავლი და, შესაბამისად, ოჯახებს შვილების გაჩენის უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცათ.. რადგან საქართველოში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა უფრო გავრცელებულია ღარიბ ოჯახებს შორის, რეგიონული სიღარიბის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს SRB-ის მაღალ დონეს. ეკონომეტრიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ სიღარიბის ბოლოდროინდელი შემცირება აისახა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკის შემცირებაში. სიღარიბის დაძლევაზე საუბრისას, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო მიგრაციისა და ფულადი გზავნილების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

შრომის ბაზრის დინამიკამ და ეკონომიკის სტრუქტურულმა ტრანსფორმაციამ, კერძოდ კი მომსახურების სექტორის წილის ზრდამ, შექმნა ახალი სამუშაო ადგილები ქალებისათვის საბანკო, საცალო ვაჭრობისა და სხვა ადმინისტრაციული საქმიანობების სფეროებში. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ხელს უწყობს SRB-ის დისბალანსის შემცირებას ქალთა ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერებით. ეს ასევე ამცირებს ოჯახში გადაწყვეტილებების მიღებისას, ოჯახის წევრების ზეწოლას ქალებზე, რაც პოტენციურად შეამცირებს სქესის შერჩევის შემთხვევებს. ამ დასკვნას ეთანხმება ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუს ყველა მონაწილე და, იგივე დასტურდება რაოდენობრივი ანალიზითაც: ქალთა დასაქმების 1%-იანი ზრდა (სოფლის მეორნეობის მიღმა) ასოცირდება 0.25 პროცენტული პუნქტით SRB-ის შემცირებასთან.

რეგრესიული მოდელის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ კაცების განათლება (ქალების განათლებისაგან განსხვავებით) რეგიონულ დონეზე ამცირებს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას. ეს შედეგი შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ოჯახებში, სადაც მამაკაცებს აქვთ უმაღლესი განათლება, მამაკაცები ნაკლებ ზეწოლას ახდენენ ქალებზე და ქალებიც მეტად არიან ჩართული ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში (რეპროდუქციული გადაწყვეტილებების ჩათვლით).

განათლების მხრივ, ფოკუს ჯგუფების შედეგებმა ასევე ხაზი გაუსვა „1+4“ სახელმწიფო პროგრამის სამომავლო პოტენციალს საქართველოს მასშტაბით SRB-ის შემცირებაში, რადგან პროგრამა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აძლევს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას ქართულენოვან უნივერსიტეტებში და ამგვარად უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების მეტ ჩართულობას ქართულ საზოგადოებაში.

ფოკუს ჯგუფების, სიღრმისეული ინტერვიუებისა და ეკონომეტრიკული მოდელების საფუძველზე არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პროგრამებმა - მიზნობრივი სოციალური დახმარება (TSA), საყოველთაო დაზღვევა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა - გავლენა მოახდინა სქესთა შორის დარღვეული თანაფარდობის შემცირებაზე. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო, შვებულების ანაზღაურებას (დეკრეტული შვებულება) არ აქვს ძლიერი გავლენა SRB-ზე, თუმცა შეუძლია ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას ქალების შრომით ბაზარზე შენარჩუნებისა და ბავშვების მოვლის პროცესში კაცების გაზრდილი ჩართულობის საშუალებით (ჯერჯერობით, საქართველოში კაცები ნაკლებად არიან ჩართული ბავშვების მოვლის პროცესში). სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა სახელმწიფო სოციალური პროგრამების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე, რაც მიუთითებს ეთნიკურ უმცირესობებში ინფორმაციის გავრცელების ბარიერების არსებობაზე.

ფოკუს ჯგუფებითა და სიღრმისეული ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ არსებულ კანონს 12-კვირის შემდეგ ორსულობის შეწყვეტის აკრძალვის შესახებ (კანონი ასევე განსაზღვრავს გამონაკლისებს) და სერვისის მიმწოდებლებისთვის გაცემულ რეკომენდაციას - შედეგების ცდომილების მაღალი ალბათობის გამო თავი შეიკავონ ნაყოფის სქესის გამოვლინებისგან ორსულობის ადრეულ ეტაპზე - შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა სქესის შერჩევის პრაქტიკის შემცირებაში. თუმცა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არსებობს ტექნოლოგიების არაეთიკური გამოყენების შემთხვევები სერვისის მიმწოდებლებს შორის, რაც პოტენციურად ხელს უწყობს SRB-ის მაღალ მაჩვენებელს.

ფოკუს ჯგუფების დისკუსიისას გამოიკვეთა საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მიმართ არსებული ღირებულებების ტრანსფორმაცია (თუმცა, ეს პროცესი გაცილებით ნელა მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში). ასევე გამოვლინდა რომ მოსახლეობის რელიგიურობის ზრდა, შეიძლება იყოს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი. დამატებით, თვისებრივი კვლევის მონაცემები მიუთითებს, რომ სქესის შერჩევა ნაკლებად სავარაუდოა ოჯახებში, სადაც უშვილობის პრობლემებს ვხვდებით, რადგან ისინი, ჩვეულებრივ, ნაყოფის ჯანმრთელობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე მის სქესს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გაუმჯობესებულმა მაკროეკონომიკურმა პირობებმა ხელი შეუწყო SRB-ის შემცირებას რეპროდუქციული არჩევანის შეზღუდვების შერბილებისა და ვაჟიშვილზე დამოკიდებულების შემცირების გზით. მეორე მხრივ, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ სოციალური დაცვის სქემებმა ხელი შეუწყო SRB-ის ნორმალურ მაჩვენებელთან მიახლოებას.

რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის ძირითად მიგნებებზე დაყრდნობით, წარმოგიდგენთ პოლიტიკის რეკომენდაციებს, რათა შესაძლებელი გახდეს დაბადებისას სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის არსებული კლებადი ტენდენციის მდგრადობისა და პროგრესის შენარჩუნება საქართველოში. ნათელია, რომ ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების არსებული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, საჭიროა ჰოლისტური მიდგომის გამოყენება, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განზომილებების გათვალისწინებით.

საზიანო პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, ძირითადი მიმართულება უნდა ეფუძნებოდეს, სიღარიბის შემცირებას, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას და ქალების გაძლიერებას, ასევე გენდერული სტერეოტიპების მსხვრევას გოგონებისა და ვაჟების თანაბარი ღირებულების ადვოკატირებით.

რეკომენდაციები
გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ვაჟისადმი არსებული უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად საჭიროა:

ა) გადაწყვეტილების მიმღებ პირთა და სამოქალაქო საზოგადოების წევრთა ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე;
ბ) ადრეული ასაკის ბავშვთა ზრუნვის სერვისების ხარისხის

გაუმჯობესება, ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე მოწყვლადი ოჯახების, რომლებსაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და/ან ხანდაზმულები, გრძელვადიანი ზრუნვის სერვისებით უზრუნველყოფა;
გ) ოჯახის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც წაახალისებს და ხელს შეუწყობს ქალსა და მამაკაცს შორის აუნაზღაურებელი საშინაო შრომის თანაბრად გადანაწილებას
დ) საკანონმდებლო ცვლილებების მეშვეობით სათანადო ხელშემწყობი და წამახალისებელი მექანიზმის შექმნა მამებისათვის, რათა მათ ისარგებლონ დეკრეტული შვებულებით; ასევე, შვილზე ზრუნვის პროცესში მამის ჩართულობასთან დაკავშირებული სოციალური ნორმების ცვლილება, ცნობიერების ამაღლების გზით.
ე) ქალების ეკონომიკური გაძლიერება, მათი დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობით, ფინანსებსა და სხვა რესურსებზე წვდომის გაუმჯობესების გზით.

სიღარიბის აღმოფხვრა და ოჯახების მოწყვლადობის შემცირება:

ა) სახელმწიფო სოციალური პროგრამებისა და სქემების, განსაკუთრებით მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი იმ ჯგუფებში, სადაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ალბათობა მაღალია. ასევე, იმ შესაძლო ბარიერების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, რომლებიც აფერხებს სახელმწიფო სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებისათვის (მაგალითად, რეკომენდირებულია "1+4" საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა);
ბ) სიღარიბის შემცირება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ადვოკატირებით; ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილება დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის სექტორიდან მაღალპროდუქტიულ ინდუსტრიულ და სერვისზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლით.

ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკების შესახებ:

ა) ცნობიერების ამაღლება და კულტურული სტერეოტიპების ცვლილება, რომლებიც გოგონებს ვაჟებთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან და ოჯახისათვის ნაკლებად ღირებულ პოზიციაში აყენებს. ამგვარი სტერეოტიპები ხშირად გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული დამოკიდებულებებისა და პრაქტიკების ძირეულ მიზეზს წარმოადგენს;
ბ) გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად საკომუნიკაციო კამპანიების ორგანიზება, რათა საზოგადოებამ (განსაკუთრებით იმ რეგიონებში სადაც პროგრესი ნელა მინდინარეობს) სრულად გაიაზროს პრაქტიკის საზიანო შედეგები;
გ) გოგონებისა და ვაჟების თანაბარი ღირებულების წახალისება, მათ შორის მემკვიდრეობის (ვაჟების სასარგებლოდ) გადაცემის ტრადიციული პრაქტიკის ცვლილების ხელშეწყობა, წარმატებული ქალების ისტორიებისა და სხვა შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით;
დ) ნაყოფის სქესის დადგენის ტექნოლოგიების უფრო ეთიკური გამოყენების ადვოკატირება - შესაბამისი პროფესიული ასოციაციების მხრიდან, ნაყოფის სქესის დადგენის კუთხით შემუშავებული რეკომენდაციების სერვისის მიმწოდებლებს შორის პოპულარიზების გზით.

სქესის შერჩევის პრაქტიკის განმაპირობებელი ფაქტორების გააზრების ხელშეწყობა:

ა) მამაკაცების განათლების დონისა და მისი გავლენის უფრო სიღრმისეული შესწავლა გენდერულ როლებსა და ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
ბ) პერიოდული რაოდენობრივი კვლევების განხორციელება, ღირებულებით სისტემისა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ცვლილების მონიტორინგის მიზნით (მაგალითად, გამოკითხვა ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკასთან დაკავშირებით);
გ) სხვადასხვა ქვეყნებში მიგრაციის პირობებში, სხვადასხვა სოციო-კულტურული გარემოს გავლენის შესწავლა საქართველოდან გასულ მიგრანტთა ღირებულებითი სისტემების ტრანსფორმაციაზე.

კვლევის მიგნებების გაზიარება ფართო საზოგადოებისათვის და შედარებითი კვლევების წარმოება:

ა) წინამდებარე კვლევის მიგნებების გაზიარება გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის და ფართო საზოგადოებისათვის. მათი ცნობიერების ამაღლება იმ სოციო-ეკონომიკური ფაქტორების შესახებ, რომელთაც ხელი შეუწყვეს, საქართველოში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემცირებას. ასევე, დისკუსიის წამოწყება ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის აღმოფხვრასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ, რომელიც ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს;
ბ) ქვეყნებს შორის ცოდნის გაცვლის ხელშეწყობა, საქართველოს გამოცდილების გაზიარების გზით, გლობალური პროგრამის „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის" ფარგლებში;
გ) სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში - შედარებითი ანალიზის წარმოება იმ სოციალური და ეკონომიკური განვითარების მაჩვნებელების გათვალისწინებით, რომელთაც შესაძლოა განაპირობეს დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის გაუმჯობესება.
დ) საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, კვლევითი საქმიანობის წარმოება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ხელშეწყობა, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის საზიანო შედეგების აღმოფხვრისა და დაბადებისას სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის დადებითი ტენდენციის შენარჩუნების მიზნით.

Endnotes

1. UNFPA. (2015). Gender-biased Sex Selection in Georgia - Context, Evidence and Implications. Tbilisi: UNFPA.
2. mation of national imbalances and regional reference levels. Proceedings of the National Academy of Sciences, 9303-9311
3. რეგიონები განსაზღვრულია შემდეგნაირად: 1. აჭარა, 2. გურია, 3. იმერეთი & რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, 4. კახეთი, 5. სამეგრელო-ზემო სვანეთი,6. სამცხე-ჯავახეთი, 7. ქვემო ქართლი, 8. შიდა ქართლი & მცხეთა-მთიანეთი, 9. თბილისი.
4. გაზომილია 20 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობაში სულ მცირე ბაკალავრის ხარისხის მქონე კაცების წილით.
5. პროგრამა „1+4" დაინერგა 2010 წელს. ეს არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს აძლევს ქართული ენისა და უმაღლესი განათლების მიღების უკეთეს შესაძლებლობას.